


შპს „ოლ-პი მეტალი“
ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

A series of approximately five parallel diagonal lines in a light blue-grey color, extending from the bottom-left towards the top-right of the page, positioned below the text.

შინაარსი

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....	2
2. მოგება ზარალისა ანგარიშგება 2019 წელი.....	3
3. საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება.....	3
ზოგადი ინფორმაცია	4
ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა	5
ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები:.....	6
ტერმინების განმარტებები:.....	6
მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	11
4. ძირითადი საშუალებები	13
5. არამატერიალური აქტივები	13
6. მარაგები.....	13
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13
8. ფული და ფულის ეკვივალენტები	14
9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	14
10. შემოსავალი.....	14
11. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება.....	14
12. საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები	15
13. სხვა შემოსავალი-ხარჯები	15

დირექტორი:



მთავარი ბუღალტერი




1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარი)	შენიშვნა	2,019
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები		2,846,589
საინვესტიციო ქონება		-
არამატერიალური აქტივები		5,000
ინვესტიციები		-
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,851,589
მიმდინარე აქტივები		
მარაგები		244,030
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		1,106,673
გაცემული სესხები		-
ფული და ფულის ექვივალენტები		17,420
სულ მიმდინარე აქტივები		1,368,123
სულ აქტივები		4,219,711
კაპიტალი და ვალდებულებები		
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი		2,496,011
გადაფასების რეზერვი		243,749
გაუნაწილებელი მოგება		196,093
სულ საკუთარი კაპიტალი		2,935,853
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხები		-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		
მიმდინარე ვალდებულებები		
საგადასახადო ვალდებულებები		109,201
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		1,174,657
მოკლევადიანი სესხები		-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1,283,858
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		4,219,711

დირექტორი:



მთავარი ბუღალტერი



2. მოგება ზარალის ანგარიშგება 2019 წელი

(ლარი)	შენიშვნა	2019
შემოსავალი		4,856,564
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(3,822,773)
საერთო მოგება		1,033,791
სხვა შემოსავლები		27,150
საერთო ადმინისტრაციული დანახარჯები		(562,138)
კომერციული დანახარჯები		-
ფინანსური ხარჯები		(6,363)
სხვა ხარჯები		-
არასაკონფორმურო ხარჯები/შემოსავლები წმინდა		492,440
მოგება დაბეგვრამდე		-
მოგების გადასახადის ხარჯი		492,440
წმინდა მოგება		-

3. საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

(ლარი)	საწესდებო კაპიტალი
1 იანვარი 2019	-
საწესდებო კაპიტალი	2,496,011
გადაფასების რეზერვი	243,749
დივიდენდები	(296,346)
პერიოდის მოგება	492,440
31 დეკემბერი 2019	2,935,854

დირექტორი:



მთავარი ბუღალტერი



ზოგადი ინფორმაცია

შპს ოლ-პი მეტალი (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2019 წლის 1 თებერვალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 400258449. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, გლდანის რაიონი, ულიანოვის ქ., N29 , ფაქტიური მისამართი საქართველო, თბილისი, ლიბანის გვ.კომპანია დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულია 2019 წლის 1 თებერვალს.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მეტალის კონსტრუქციების წარმოება და მონტაჟი, სენდვიჩ პანელების მონტაჟი, თუნუქის აქსესუარების დამზადება-მონტაჟი, მომსახურებაში ერთიანდება დეკორატიული მიმართულებაც.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წილები შემდეგნაირად ნაწილდება:

- 205208746, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ელემენტ კონსტრაქშენი - 48%
- 400253872, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ლიპო - 50%
- 01026007114, მაია ყურაშვილი - 1%
- 01003000271, ვლადიმერ ბუსკივაძე - 1%

კომპანიის დირექტორი - გიორგი ბერაძე (პ/ნ 01024026184), კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის 2 496 010 ლარი. 2019 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრისთვის კომპანიის თანამშრომლების საშუალო რაოდენობა იყო 40 ადამიანი.

დირექტორი:



მთავარი ბუღალტერი



ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.
ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდით, საწარმო აკმაყოფილებს ფუნქციონირებადი საწარმოს მოთხოვნებს;

მს ფასს სტანდარტების პირველადი გამოყენება

კომპანია მს ფასს სტანდარტების საფუძველზე წარადგენს 2019 წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, ასევე 2019 წლის საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას და 2019 წლის კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგებას, ასევე შესაბამის ახსნა განმარტებით შენიშვნებს;

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. 2019 წლის 31 დეკემბერს და 2018 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:


საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი	დოლარი	ევრო
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.2095
კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6766	3.0701

დირექტორი:



მთავარი ბუღალტერი



ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები:

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

ტერმინების განმარტებები:

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიკვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება (მიწა ან შენობები, ან შენობის ნაწილი, ან ორივე ერთად), რომელსაც ფლობს მესაკუთრე, ან მოიჯარე ფინანსური იჯარის პირობებით, საიჯარო

დირექტორი:



მთავარი ბუღალტერი



შემოსავლების მიღების ან ღირებულების ზრდის, ან ორივე მიზნით, გარდა ისეთი მიზნებისა, როგორიცაა:

(ა) გამოყენება საქონლის წარმოების ან მიწოდების, მომსახურების გაწევის ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის; ან

(ბ) გაყიდვა საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში.

ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

საწარმომ საინვესტიციო ქონება თავდაპირველად უნდა აღიაროს თვითღირებულებით. შეძენილი საინვესტიციო ქონების თვითღირებულება მოიცავს მისი შეძენის ფასსა და ნებისმიერ დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია უშუალოდ საინვესტიციო ქონების შეძენასთან, როგორიცაა იურიდიული ან საბროკერო მომსახურების ღირებულება, ქონების გადაცემასთან დაკავშირებული გადასახადები და სხვა მსგავსი გარიგების დანახარჯები. თუ გადახდა გადავადებულია და საკრედიტო პერიოდი აღემატება სტანდარტულ პერიოდს, მაშინ საინვესტიციო ქონების თვითღირებულება იქნება ყველანაირი სამომავლო გადასახდელების დღევანდელი ღირებულება.

ბ) შემდგომი შეფასება

საინვესტიციო ქონება, რომლის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე, უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, რეალური ღირებულების ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით.

კომპანია საინვესტიციო ქონებას აფასებს რეალური ღირებულებით ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ძირითადი საშუალებები

ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად. კომპანია ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფის მიმართ იყენებს თვითღირებულების მეთოდს

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

დირექტორი:



მთავარი ბუღალტერი



ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით;

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
შენობები	-
ნაგებობები	-
მანქანა-დანადგარები	7
ოფისის აღჭურვილობა	5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	7
სატრანსპორტო საშუალებები	5

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივებისა გატესტვა გაუფასურებაზე, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების

ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება

შემცირდება აქტივის საბალანსო ღირებულება, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

დირექტორი:



მთავარი ბუღალტერი



სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

დაბეგვრა

საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან. კომპანიის მიმდინარე გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

ამონაგების აღიარება

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქცია გადაეცემა მყიდველს.

თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საეჭვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

სამშენებლო კონტრაქტები

თუ შესაძლებელია სამშენებლო ხელშეკრულების შედეგის საიმედოდ შეფასება, საწარმომ სამშენებლო ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ამონაგები და დანახარჯები უნდა აღიაროს, როგორც ამონაგები და ხარჯი, შესაბამისად, სახელშეკრულებო სამუშაოების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სამშენებლო ხელშეკრულების შედეგის

დირექტორი:



მთავარი ბუღალტერი



საიმედოდ შესაფასებლად, შესაძლებელი უნდა იყოს სახელშეკრულებო სამუშაოების შესრულების სტადიის, მომავალი დანახარჯებისა და თანხების ამოღების შესაძლებლობის საიმედოდ შეფასება. საწარმომ ოპერაციის ან ხელშეკრულების შესრულების სტადია ისეთი მეთოდით უნდა განსაზღვროს, რომლის მეშვეობით ყველაზე საიმედოდ შეფასდება შესრულებული სამუშაოს მოცულობა.

ნებადართული მეთოდებია:

(ა) პროპორციულობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს მოცემული თარიღისათვის შესრულებულ სამუშაოებზე გაწეული დანახარჯების თანაფარდობის დადგენას მთლიანი სახელ-შეკრულებო დანახარჯების შეფასებულ თანხასთან მიმარ-თებით. მოცემული თარიღისათვის შესრულებულ სამუშაოებ-ზე გაწეული დანახარჯები არ მოიცავს მომავალ საქმიანო-ბასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, როგორიცაა, დანახარ-ჯები მასალებზე ან წინასწარგადახდილი თანხები (ავანსები);

(ბ) შესრულებული სამუშაოების გამოკვლევის მეთოდი; და

(გ) მომსახურების ოპერაციის, ან სახელშეკრულებო სამუშაოების დასრულების ფიზიკური პროპორციულობის მეთოდი.

კომპანია სამშენებლო კონტრაქტებიდან ამონაგების აღიარებას ახორციელებს პროპორციულობის მეთოდის გამოყენებით.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

დირექტორი:



მთავარი ბუღალტერი



სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

- ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ

დირექტორი:



მთავარი ბუღალტერი



რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

• **მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები** - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

• **სასამართლო დავები** - კომპანია ანარიცხს სასამართლო დავებთან დაკავშირებით აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარსულში მომხდარი ქმედების შედეგია, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიისგან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა. იქ, სადაც რომელიმე კრიტერიუმი არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შეიძლება იქნას გაშიფრული ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის განმარტებით შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების დადგომას, რომლის აღიარება ან გაშიფვრა ფინანსურ ინფორმაციაში ჯერ არ მომხდარა, შეიძლება ქონდეს არსებითი გავლენა ფინანსურ ინფორმაციაზე. აქედან გამომდინარე კომპანიის ხელმძღვანელობისგან აღნიშნული ფაქტი მოითხოვს მნიშვნელოვან შეფასებებს არსებულ თუ მომავალ სასამართლო დავებთან დაკავშირებით. კომპანია განიხილავს ყოველ

მიმდინარე სასამართლო დავას და აფასებს მის შედეგებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, რათა განსაზღვროს საჭიროა თუ არა შესაბამისი ანარიცხის შექმნა. შეფასების დროს გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: დავის ხასიათი, მომჩივანია თუ მოპასუხე, სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და პოტენციური ზარალის დონე, იურისტების მიმოხილვა და რჩევები, გამოცდილება მსგავსი შემთხვევებიდან და სხვა.

დირექტორი:



მთავარი ბუღალტერი



შპს „ოლ-პი მეტალი“
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

4. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობები	მანქანა-დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	სულ
2019 წლის 1 იანვარი						
შეძენა						-
გასვლა	1,588,089	867,703	282,918	121,012	72,232	2,931,954
2019 წლის 31 დეკემბერი	1,588,089	867,703	282,918	121,012	72,232	2,931,954
დაგროვილი ცვეთა						
2019 წლის 1 იანვარი						-
წლის ცვეთის ხარჯი		(13,141)	(45,099)	(13,325)	(13,800)	-
გასული ძირითადი საშუალების ცვეთა						(85,365)
2019 წლის 31 დეკემბერი		(13,141)	(45,099)	(13,325)	(13,800)	(85,365)
ნეტო საბალანსო ღირებულება	1,588,089	854,562	237,819	107,687	58,432	2,846,589
2019 წლის 1 იანვარი	-	-	-	-	-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	1,588,089	854,562	237,819	107,687	58,432	2,846,589

5. არამატერიალური აქტივები

საწყისი ნაშთი	-
შეძენა	5,000
სულ არამატერიალური აქტივები	5,000

6. მარაგები

სამშენებლო მასალები	177,145
სხვა მარაგები	66,884
სულ მარაგები	244,030

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	145,289
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	185
საკონტრაქტო აქტივი	894,696
წინასწარ გადახდილი ავანსები	39,495
საგარანტიო მოთხოვნები	37,145
წინასწარ გადახდილი გადასახადები	
სხვა მოთხოვნები	
მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	(10,138)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,106,673

დირექტორი:



მთავარი ბუღალტერი



8. ფული და ფულის ეკვივალენტები

ნადი ფული ეროვნულ ვალუტაში	2,771
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	14,649
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	17,420

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

მიღებული ავანსები	618,563
მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	424,866
საკონტრაქტო ვალდებულებები	
გადასახდელი ხელფასები	49,727
გადასახდელი დივიდენდები	81,500
გადასახდელი პროცენტები	
იჯარიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,174,657

10. შემოსავალი

შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან	4,854,161
იჯარა	2,403
სხვა შემოსავალი	
სულ შემოსავალი	4,856,564

11. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

სამშენებლო ხარჯები	(3,822,773)
მომსახურების ხარჯები	
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(3,822,773)

დირექტორი:



მთავარი ბუღალტერი



12. საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები

	2019
შრომის ანაზღაურება	-368,207
ცვეთა და ამორტიზაცია	-85,365
თანამშრომლების დაზღვევა	
იჯარის ხარჯი	
მივლინების ხარჯი	
საკანცელარიო საქონელი	
სამეურნეო საქონელი	
ბანკის მომსახურების ხარჯი	
კომუნიკაციის ხარჯები	-9,912
ტრანსპორტის დაზღვევა	
კომპიუტერის ხარჯები	
რემონტის ხარჯები	-5,873
საკონსულტაციო ხარჯები	-2,799
სატრანსპორტო საშუალებების ხარჯი	-16,775
იურიდიული მომსახურების ხარჯები	
თანამშრომელთა გადამზადება	
წარმომადგენლობითი ხარჯები	
ავტომანქანის ხარჯი	
საწვავის ხარჯი	-27,818
ინტერნეტსაიტით მომსახურება	
საპროცენტო ხარჯი	
ქველმოქმედება	
ქონების გადასახადი	-15,334
სხვა ხარჯები	-30,056
სულ საერთო ადმინისტრაციული დანახარჯები	-562,138

13. სხვა შემოსავალი-ხარჯები

ფინანსური ხარჯები	-1,161
ინვენტარიზაციის ზედმეტობა/დანაკლისი	21,948
ფინანსური ხარჯები	20,786

დირექტორი:



მთავარი ბუღალტერი

